ცნობა

თეა წულუკიანი დაიბადა 1975 წლის 21 იანვარს, ქ. თბილისში;

1992 წელს დაამთავრა ლიონის (საფრანგეთი) ამპერის სახელობის ლიცეუმი;

1997 წელს – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი;

1998 წელს დაამთავრა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული დიპლომატიის აკადემია;

1997-1998 წლებში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრში;

1998 წელს წარმატებით ჩააბარა საკონკურსო გამოცდა საფრანგეთის სახელმწიფო მართვის სკოლაში (ENA), რომელიც ექვემდებარებოდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრსა და პრეფექტებს. სწავლის პერიოდში მუშაობდა სარტის დეპარტამენტის (დასავლეთ საფრანგეთი) პრეფექტის კაბინეტში ქალაქის რთულ უბნებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა საქმიანობის კოორდინაციის საკითხებზე;

2000 წელს დაამთავრა სახელმწიფო მართვის სკოლა და მიენიჭა მაგისტრის ხარისხი საჯარო ადმინისტრაციაში(MPA);

2000 წლის სექტემბერში ევროსაბჭოს მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგად გახდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შტატიანი თანამშრომელი (იურისტი);

2005 წელს მიენიჭა უფროსი იურისტის საკლასო ჩინი;

2006 წლიდან იყო სასამართლოს რეგლამენტის კომიტეტის წევრი;

2009 წლიდან იყო მომხსენებელი ერთი მოსამართლის მიერ განსახილველ საქმეებზე. 2010 წლის თებერვალს გადადგა დაკავებული თანამდებობიდან და დაბრუნდა საქართველოში;

2010 წლის 15 მაისს შეუერთდა პოლიტიკურ პარტია „თავისუფალ დემოკრატებს", როგორც პარტიის თავმჯდომარის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში;

2012 წლის 1 ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად;

2012 წლის 25 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრად.